ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 153
(4923)

1973 წ.
5 აგვისტო,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ხელი მიეცით ერთმანეთს, მეტოქეებო!

არის ამ ქვეყნად ერთი ენა, რომელსაც ვერც ერთ ლინგვისტურ ცნობარში ვერ შეხვდებით. მაგრამ ეს ენა არსებობს და ყოველმხრივ ხელს უწყობს დედამიწის სულ სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანთა დაახლოება-დამეგობრებას. მე სპორტის ენაზე მოგახსენებთ. არა, სპორტულ ტერმინებს არ ვგულისხმობ, ისინი თავისთავად ინტერნაციონალური და ყველასთვის გასაგებია. აქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი. დამეთანხმებით, ნებისმიერი სპორტული ორთაბრძოლა, ნებისმიერი შეჯიბრება ძალასა და მოქნილობაში გაცილებით მეტს გვეუბნება, ვიდრე მსაჯთა ოქმებში ჩაწერილი ძუნწი ციფრები ისინი სილამაზისა და ჰარმონიისადმი კაცობრიობის მარადიულ სწრაფვაზე მეტყველებენ.

სპორტს თარჯიმანი არ სჭირდება, მისთვის ენობრივი ზღუდეები არ არსებობს. სენეგალელი გოგონები კალათბურთში აზარტული ბრძოლის დამთავრების მერე მოედნიდან თავიანთ ახალ მეგობრებთან — გერმანიის ქალაქ ჰალეს მკვიდრ ქალიშვილებთან ერთად ხელიხელგადახვეულნი მიდიან.

დღეს დამთავრდა შეჯიბრება ახალგაზრდობის X მსოფლიო ფესტივალის ლაურეატთა წოდებისთვის. ფესტივალის ბოლო ოქროს მედლები საბჭოთა ფრენბურთელმა ქალიშვილებმა მიიღეს.

სტადიონზე, ფრიდრიხ-ლიუდვიგ იანის სახელობის სპორტულ პარკში დაცარიელდა სარბენი ბილიკები, ხტომისა და ტყორცნის სექტორები. გუშინ აქ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა მძლეოსნებმა შვიდი ოქროს მედალი დაისაკუთრეს. მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ ტალინის სკოლის კურსდამთავრებული ენ სელიკი, რომელმაც ყველას აჯობა სტაიერულ მინი-დისტანციაზე — 3 ათას მეტრზე (8,12,6), მოსკოველი სამხედრო მოსამსახურე ალექსანდრე ბელემეშევი, რომელმაც 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში შორს ჩამოიტოვა მეტოქეები (5.37,2), სტუდენტი სერგეი კრივოზუბი, რომელიც ყველაზე მაღლა გადახტა ჭოკით (5 მ), თბილისელი სტუდენტი — პოლიტექნიკოსი ვლადიმერ ხმელიძე, რომელმაც ბირთვი 16 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე ჰკრა. ფესტივალის ლაურეატები არიან მოსკოველი სტუდენტი ნატალია მატვეევა, რომელმაც ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში (24,4), ჩერკასელი მოსწავლე ნატალია ზაბოშკო, რომელმაც 800 მეტრზე რბენაში ბოლო მეტრებზე გამოჰგლიჯა მეტოქეებს ხელიდან გამარჯვება (2.0,7), და კიდევ ერთი ტალინელი მოსწავლე — მარეტ ინტსი, რომელმაც შუბი 50 მეტრზე და 96 სანტიმეტრზე ტყორცნა.

კვირას X მსოფლიო ფესტივალი დამთავრდება, მაგრამ საფესტივალო სტარტები გაგრძელდება გდრ-ის მოსწავლეთა მასობრივ შეჯიბრებებში. გერმანელი მოსწავლეებისთვის ფაინა მელნიკმა, ლიუდმილა ბრაგინამ, მიხეილ ტალმა და ანატოლი კარპოვმა სახელობითი პრიზები დააწესეს.

მ. გლატინი,
(„კომსომოლსკაია პრავდას“ სპეც. კორ.).
ბერლინი, 8 აგვისტო.

ისინდი კოხი და სპორტის სიყვარული

„სპორტი ახალგაზრდების ხელოვნებაში“ — ასე უწოდეს „უნივერსიადა-73“-ისადმი მიძღვნილ გამოფენას, რომელიც მოსკოვის მხატვრის სახლში მოეწყო სსრ კავშირის მხატვართა კავშირის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, აგრეთვე, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს თაოსნობით.

რით იზიდავს დღეს ახალგაზრდა მხატვრებს სპორტის თემა? გამარჯვების ხელოვნება, ადამიანის სხეულის სილამაზე, სიხარული და ბედნიერება, რომლითაც სპორტი უხვად ასაჩუქრებს ადამიანს, ალბათ ესაა მთავარი, რაც ხელოვნების ოსტატებს სპორტულ თემატიკას ამორჩევინებს ხოლმე. „ადამიანი და სპორტი“ — ასეთი რუბრიკით შეიძლება გაერთიანდეს ახალი სპორტული გალერეის ნამუშევართა უმეტესობა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ახალგაზრდა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა უნივერსიადას უძღვნეს ფიზკულტურისა და სპორტის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა მშვენიერი კოლექცია. „ისინდი — ეროვნული თამაში“ — ასე უწოდა დეკორატიულ რელიეფს ქართველმა მხატვარმა ა. გაბიტაშვილმა. შორეული აღმოსავლეთის ავროსნებზე გვიამბობს ვ. დმიტრიევის ნამუშევარი. სომეხი მხატვრის ფ. ეგიაზარიანის ტილო გვაცნობს ძველ სომხურ ეროვნულ თამაშ კოხს.

ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა სტუდენტთა საერთაშორისო სპორტულ დღესასწაულზე ჩვენს თვალწინ შლის მრავალმხრივ ტალანტს ავტორებისას, რომელთა შემოქმედებაშიც ერთმანეთს ერწყმის ხატვრობის, სკულპტურის, გრაფიკის სიყვარული, სიყვარული სპორტის ხელოვნებისადმი.

სურათზე: უნივერსიადა ახლოვდება. ამ დიდი ასპარეზობის მონაწილე, ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა ავტოგრაფებს ურიგებს პატარა გოგონებსა და ბიჭებს, რომლებიც ალბათ სულ მალე შეცვლიან დღევანდელ ჩემპიონებს...

„იზვესტია“.

1:1

გუშინწინ ბუქარესტში დაიწყო დივისის თასის გათამაშების ევროპის „ა“ ზონის ფინალური შეხვედრა სსრ კავშირისა და რუმინეთის ჩოგბურთელთა გუნდებს შორის. პირველ დღეს თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა რუმინელთა მეორე ჩოგანი ტ. ოვიჩი (3:0). მეორე თბილისელმა თ. კაკულიამ შეხვედრა დათმო ი. ნასტასესთან (0:3). გუშინ გაიმართა წყვილთა შეხვედრა.

წარმატებას გისურვებთ, ახალგაზრდებო!

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დაიწყო. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც საშუალო სასწავლებლები უკან მოიტოვეს, ახლა დიდ გზაზე გასასვლელად, ცოდნის ახალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებიან. ახალგაზრდობა განათლებისკენ ილტვის, ამაში არაფერია გასაკვირი. მაგრამ მსურველი ბევრზე ბევრია და ამიტომ სანუკვარ მიზანს მიაღწევენ მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, ვინც სხვებზე გულმოდგინედ იმუშავა და სხვებზე უკეთ მოემზადა გამოცდებისთვის.

დღეს ფიზიკური კულტურა და სპორტი განსაკუთრებით დაფასებულია ჩვენში. ამიტომაა, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება ძალიან ბევრმა ისურვა. აქ გამოცდებიც განსაკუთრებით ძნელია. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების კარგი ცოდნის გარდა, ახალგაზრდებმა გამომცდელებს კარგი ფიზიკური მომზადება და სპორტული ოსტატობაც უნდა უჩვენონ. ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა კადრებს ამთავითვე უნდა შერჩევა. ეს იციან გამომცდელებმა და ყოველ აბიტურიენტს მომავლის საზომით უდგებიან, აკვირდებიან, გულდაგულ ამოწმებენ. გამოცდები მკაცრია, მაგრამ მას, ვინც ამ ეტაპზე თავს გამოიჩენს, წინ დიდი და საინტერესო გზა ელის.

წარმატებას გისურვებთ, ახალგაზრდებო!

* * *

სურათებზე: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. მისაღები გამოცდები რბენაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში.
მ. ზარგარიანის ფოტოები.

ისევ შარაფეტდინოვი!

ლენინგრადი, 3 აგვისტო. ძმები ზნამენსკების პრიზზე გამართული ტრადიციული ასპარეზობის ერთ-ერთი მთავარი ჯილდო მეორედ მოიპოვა ლენინგრადელმა მძლეოსანმა რ. შარაფეტდინოვმა, რომელმაც 5 კმ-ზე 13.53,2 აჩვენა.

100 მეტრზე მორბენალ ქალებში ყველას აჯობა რიგელმა ა. სინიჩკინამ (11,8), ვაჟებში კი 24 წლის სვერდლოვსკელმა სპორტსმენმა ი. მაევსკიმ (10,5). 25 წლის ლენინგრადელმა მასწავლებელმა ნ. სერგეევამ გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 63 მ და 82 სმ.

წლევანდელ მემორიალში 11 ქვეყნის — ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იამაიკისა და სსრ კავშირის 600-ზე მეტი მორბენალი, მხტომელი და მტყორცნელი მონაწილეობს.

ასპარეზობის ბოლო დღეს, 5 აგვისტოს, გათამაშდება კიდევ ორი მთავარი პრიზი — 1500 და 10000 მეტრზე რბენაში.

დიდოსტატთა თვალსაზრისით...

საჭადრაკო სამყარო უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლის ახალ ციკლში შევიდა. ამას წინათ ლენინგრადში დამთავრდა ორიდან ერთ-ერთი საზონთაშორისო ტურნირი. 21 ივლისს ბრაზილიაში მეორე დაიწყო.

ლენინგრადის ტურნირის შედეგებით, მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს საბჭოთა დიდოსტატებმა ანატოლი კარპოვმა, ვიქტორ კორჩნოიმ და ამერიკელმა დიდოსტატმა რობერტ ბირნმა.

„ლიტერატურნაია გაზეტამ" შემთხვევით ისარგებლა — ვიქტორ კორჩნოის, ბენტ ლარსენსა და ფიდე-ს პრეზიდენტს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს დოქტორ მაქს ეივეს, რომელიც ლენინგრადში იყო სტუმრად, სთხოვა აზრი გამოეთქვათ საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე.

მაგრამ „ლგ"-ს „მრგვალი მაგიდის" გარშემო დიდოსტატთა მოწვევა, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. ორ თანამოსაუბრეს ბ. ლარსენსა და მ. ეივეს შორის [illegible] იყო აღმართული. ისინი დაგვეთანხმნენ დიდოსტატებს სხვადასხვა მაგიდასთან შევხვედროდით: ბ. ლარსენს — რესტორან „ასტორიაში", სასადილო მაგიდასთან, ვ. კორჩნოის — ლენინგრადში, მის ბინაში, სამუშაო მაგიდასთან, მ. ეივეს — საზონთაშორისო ტურნირის პრეს-ცენტრში, საჭადრაკო მაგიდასთან.

ვ. ხ. ჭადრაკმა უდიდესი პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში. საფეხბურთო ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიდე) 82 ქვეყანაა გაერთიანებული. [illegible] განვითარებული იქნება ორგანიზაცია და [illegible] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის [illegible] ფედერაციების [illegible].

ძნელია [illegible] მილიონი მოჭადრაკის მრავალრიცხოვან არმიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საჭადრაკო გვირგვინისთვის მებრძოლთა „ელიტას" ეხება. უმაღლესი ტიტულის პრეტენდენტთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ამიტომ გამუდმებით იცვლება მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემის შეცვლა და სრულყოფა.

პრეტენდენტთა შესარჩევად ახლა ტარდება ორი და არა ერთი საზონთაშორისო ტურნირი, როგორც წინა წლებში ხდებოდა. ეს საშუალებას გვაძლევს შეჯიბრებაში მეტი მოჭადრაკე ჩავაბათ.

პრეტენდენტებს კიდევ ერთი სიახლე ელით: თუ უწინ მატჩში გამარჯვება რჩებოდა მას, ვინც განსაზღვრული რაოდენობის პარტიებში მეტ ქულას დააგროვებდა, ახლა მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები გაგრძელდება [illegible] და ხუთ გამარჯვებამდე. [illegible] ლიმიტია 16, 20 და 24 პარტია.

ჩემი აზრით, ახალი წესები ბრძოლის სიმწვავესა და შინაარსს შემატებს. ახლა არა მგონია გამეორდეს ისეთი ტრაგიკომიკური სიტუაცია, როგორსაც მოწმენიც ამ ორი წლის წინ ვიყავით, პეტროსიან-კორჩნოის მატჩში ათიდან ცხრა პარტია ყაიმით რომ დამთავრდა.

კორჩნოი. მე ახალი სისტემა უფრო პროგრესული მეჩვენება, თუმცა ეს, ალბათ, [illegible]. ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობაზე ალიოხინისა და კაპაბლანკას მატჩში თამაში ექვს მოგებულ პარტიამდე გრძელდებოდა.

ლარსენი. როგორც ჩანს, იდეალური სისტემა არ არსებობს. ნებისმიერს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება მაინც უძლიერესს რჩება.

ვინ გაიმარჯვებს პრეტენდენტთა შეჯიბრების ამჟამინდელ ციკლში, ძნელი სათქმელია. არიან ძველი ფავორიტები, რომელთაგანაც მეტს აღარ უნდა ველოდეთ. არიან ახალი ფავორიტები, რომლებსაც ჯერ კარგად არ ვიცნობთ.

არა მგონია, კარპოვი ერთი ხელის დაკვრით დაუდგეს ფიშერს. ახალგაზრდა დიდოსტატს საჭირო ბრძოლის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ამ შესაძლებლობის სრულად გამოვლენას [illegible].

სპასკი ჯერ კიდევ ვერ მოსულა [illegible] ფიშერთან მატჩის შემდეგ. მართალია, დორტმუნდის ამასწინანდელ საერთაშორისო ტურნირში მან პირველი ადგილი გაიყო ანდერსონთან და ჰუბნერთან, მაგრამ ამას დიდ მიღწევად ვერ მივიჩნევთ. საქმე ისაა, რომ მონაწილეთა შემადგენლობა ძლიერი არ იყო, ხოლო გამარჯვებულებმა დიდოსტატური შედეგებიც კი ვერ მიაღწიეს.

როცა პრეტენდენტთა თამაშს ვაკვირდები, მეჩვენება, რომ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი კორჩნოისა და პეტროსიანს აქვთ, ოღონდ არ ვიცი, შეინარჩუნებს თუ არა პეტროსიანი მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის ენერგია და სურვილი.

კორჩნოი. არა მგონია, მე პრეტენდენტთა შეჯიბრების მოგება შევძლო. ჩემს მეტოქეებს შორის „უპირველო" მოჭადრაკეები არიან. ჩემი სტილის მიხედვით მე იმათთან ბრძოლა მირჩევნია, ვინც თავითვე თამაშობს და „ერთ ადგილს არ დგანან". ამ თვალსაზრისით ყველაზე ძნელი იქნებოდა ფიშერთან შეხვედრა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მაქვს ჩემი ვარაუდის შემოწმების საშუალება.

ლარსენი. ფიშერთან თამაში ძნელია პეტროსიანისთვის. კარგი მომზადების შემდეგ, განსაკუთრებით კარგი ფსიქოლოგიური მომზადების შემდეგ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნაკლები შანსი როდი აქვს. [illegible] პეტროსიანმა თავისი უპირატესობა ვერ გამოიყენა. ჩემი აზრით, მან მთლიანად სწორი ტაქტიკა ვერ აირჩია და [illegible] გაუგებარი კაცთმოყვარეობა გამოიჩინა იმ მომენტში, როცა ფიშერი არადამაჯერებლად თამაშობდა.

რაც შეეხება სპასკის, არა მგონია ფიშერთან ახალ ორთაბრძოლაში მას დიდი შანსები ჰქონდეს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ამერიკელ დიდოსტატთან ბრძოლისთვის შინაგანი რწმენა შერყევია და ამ რწმენის აღდგენა ძალიან ძნელია.

კორჩნოიმ შენიშნა, სიამოვნებით ვითამაშებდი მატჩს ფიშერთან, მაგრამ მის დამარცხებას ვერ შევძლებდიო. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია წინასწარ [illegible] თავის თავს მარცხი, [illegible] უნდა იყოს. თუკი ამას მოელის, ურჩევნია საერთოდ არ მიუჯდეს დაფას.

კორჩნოი. თავის მოწყლება რა საჭიროა. ჩემი აზრით, მე უფრო სწორი პოზიცია მაქვს არჩეული, ვიდრე ლარსენსა და ტაიმანოვს ჰქონდათ ფიშერთან მატჩის წინ.

მე ფიშერისა არ მეშინია და [illegible] კიდევ ის რჩება პირად შეხვედრებში. მაგრამ, როცა [illegible], ის [illegible], რომ მსოფლიო ჩემპიონთან მატჩში გამარჯვების იმედი არ უნდა მქონდეს.

ვფიქრობ, არც პეტროსიანს აქვს დიდი წარმატების იმედი. ფიშერთან მისი ორთაბრძოლის შემდეგ სამი წელია გასული. არა მგონია ამ ხნის მანძილზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი „გაზრდილიყოს", როგორც მოჭადრაკე.

ის კი მართალია, რომ წაგებამ ფსიქოლოგიურად პეტროსიანზე ნაკლებად იმოქმედა, ვიდრე მის კოლეგებზე. ჩემი აზრით, ბუენოს-აირესში [illegible] პეტროსიანს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა გამოცდა ელოდა, და ყველაფრისთვის მზად იყო. ამიტომ მატჩის შედეგს მასში ფსიქიური შოკი არ გამოუწვევია, ფიშერის [illegible] მეტოქის ხელში კი მარცხმა დიდი კვალი დატოვა.

საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ ფიშერთან [illegible] მასთან წარმატებით ბრძოლა ეს ახალგაზრდობის ამოცანაა. გაართმევს თუ არა ამ ამოცანას თავს კარპოვი, არ ვიცი. [illegible] დამარწმუნა, რომ კარპოვი, როგორც სპორტსმენი მებრძოლი, ფიშერს არ ჩამოუვარდება, მაგრამ შეძლებს კი იგი მსოფლიო ჩემპიონს ორთაბრძოლაში დაუპირისპირდეს?

ფიშერის დასამარცხებლად მარტო ჭადრაკის კარგად თამაში არ კმარა. მის მეტოქეს უდიდესი ფსიქოლოგიური გამძლეობა და მტკიცე ხასიათი უნდა ჰქონდეს.

კორჩნოი. სპასკი უნდა წამოსულიყო რეიკიავიკიდან, როგორც კი ფიშერმა ის უპრეცედენტო ფსიქოლოგიური იერიში დაიწყო.

ლარსენი. ახლა ძნელი სათქმელია, როგორ უნდა მოქცეულიყო. შეიძლება [illegible] გაქცევად არ ჩაეთვალათ. არადა, ვინ რას ეტყოდა. ფიშერის წესებით მატჩი რაღაც [illegible] ფარსად იქცა. ცენტრალური ფიგურა პრეტენდენტი იყო, მსოფლიო ჩემპიონი კი სტატისტის როლში აღმოჩნდა.

ჩემი აზრით, სპასკი რეიკიავიკიდან არ წამოვიდა, რადგან სჯეროდა, გაიმარჯვებდა. როგორც ადამიანი და მოჭადრაკე, იგი ბრძოლისკენ მიილტვოდა და სურდა [illegible] თავისი უპირატესობა. მაგრამ მას ვერ [illegible] „ფსიქოლოგიური კლიმატის" შეცვლა.

კორჩნოი. დიახ, სპასკი დარწმუნებული იყო, ფიშერს დავამარცხებო. მესამე პარტიის წაგების შემდეგაც კი [illegible]. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აღიარა, ამ პარტიამ გატეხა ჩემი ნებისყოფაო. [illegible] ვითარებას სწორად ვერ აფასებდა! თუმცა ეს კია, რომ დაძაბული შეჯიბრების დროს ჩვენი გრძნობები და გონებაც [illegible].

ვ. ხ. სპასკის [illegible] ჰქონდა რეიკიავიკიდან წამოსასვლელად. [illegible]. მაგრამ ამ შეხვედრის ორგანიზაციამ [illegible], სპასკი მას ისეთი ინტერესით ელოდა, რომ [illegible] ყველაფერი გადაყლაპა, რათა მატჩი მაინც შემდგარიყო.

ლარსენი. [illegible] „ჭადრაკის სახელმწიფოს" [illegible], იგი ვალდებული იყო წესები დაეცვა და აღეკვეთა პრეტენდენტის [illegible] პრეტენზიები. მეორე მხრივ, მისი [illegible] პოზიციაც გასაგებია: მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდა ამ ორთაბრძოლას. [illegible]?

კორჩნოი. მე ვფიქრობ, ფიდე-ს პრეზიდენტი სწორად არ მოიქცა, როცა ფიშერის სურვილს დაჰყვა და მატჩის რეგლამენტი დაარღვია. მაგრამ მისი [illegible] სპასკის ქცევით [illegible] იყო. ჩემპიონს ცოტა მეტი სიმკაცრე რომ გამოეჩინა, ეივე წესების დარღვევას ვერ გაბედავდა.

ვ. ხ. ბოტვინიკმა ერთ-ერთ წერილში შენიშნა, რომ ამ მატჩით დაინტერესებული იყო სამი კაცი — ფიშერი, სპასკი და მე. არ ვიცი, რას გულისხმობდა ჩემი ძველი მეგობარი, მაგრამ არსებითად იგი მართალი გახლდათ.

ფიშერს ჩემპიონობის მოპოვება სურდა, სპასკის — წოდების დაცვა, მთავარი მეტოქის წინაშე თავისი უპირატესობის დამტკიცება. მე არ მინდოდა მილიონობით გულშემატკივრის გაწბილება, გრანდიოზულ ორთაბრძოლას მოუთმენლად რომ ელოდნენ.

პირადად ჩემი სიმპათია სპასკის მხარეზე იყო და [illegible]. ეს კი არა, დარწმუნებული ვარ, საჭადრაკო სამყაროსთვის სპასკის გამარჯვება უფრო სასარგებლო იქნებოდა. ახალი ჩემპიონი [illegible] არ [illegible]...

მსოფლიო პირველობაზე მატჩების ძველ წესებში ბევრი რამ [illegible] იყო და დავას იწვევდა. ფიდე-ს უახლოეს კონგრესზე ახალი დებულება დამტკიცდება. იქ დაწვრილებით იქნება რეგლამენტირებული შეჯიბრების ყველა პირობა [illegible] სანქციები. და, თუ ვინმე კვლავ [illegible] პრეტენზიებს და მოთხოვნების წამოყენებას, ფიშერი შესაფერ პასუხს მიიღებს.

ლარსენი. [illegible], თითქოს ფიშერი, თუ [illegible] არა, კარგა ხნით მაინც ჩამოშორდა ჭადრაკს. პრეტენდენტების დროს მან ბევრჯერ განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდები, წელიწადში ორ მატჩს ვითამაშებო, მაგრამ სპასკისთან ორთაბრძოლამ ჩემპიონს იმდენი ნერვული ძალა წაართვა, რომ ახლა მატჩების კი არა, ტურნირების გაგონებაც არ უნდა. გამორიცხული არ არის, რომ 1975 წელს ფიშერმა უბრძოლველად თავისი ტიტული დათმოს. მაშინ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტომატურად გამოცხადდება მსოფლიო ჩემპიონად.

კორჩნოი. ეს ნებაყოფლობითი განდგომა სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას: ფიშერმა ბრძოლის გრძელი, დამქანცველი გზა განვლო და ახლა დასვენება სწყურია, როგორც ყველა მსოფლიო ჩემპიონს.

ვ. ხ. ისტორია მეორდება. მსოფლიო ჩემპიონთა უმრავლესობა ტახტზე ასვლის მერე დიდხანს უარს ამბობდა შეჯიბრებებში მონაწილეობაზე. საკმარისია გავიხსენოთ კაპაბლანკა, ალიოხინი, ბოტვინიკი...

ლარსენი. ბოტვინიკი და კაპაბლანკა საერთოდ იშვიათად თამაშობდნენ ტურნირებში. ალიოხინის ორწლიანი ანტრაქტი კომერციული მოსაზრებებით იყო გამოწვეული. მსოფლიო ჩემპიონს საჯარო ლექციები და [illegible] სეანსები ჰქონდა. ფიშერი კი სრულიად განუდგა საჭადრაკო სამყაროს, ხალხს.

ვ. ხ. ამას წინათ ფიშერის [illegible], რომ მსოფლიო ჩემპიონი უარს არ იტყოდა ევროპაში პატარა ტურნეზე გამგზავრებაზე. მე არ ვიცოდი, რა [illegible] მოითხოვდა ფიშერი და [illegible] დავურეკე. 5 ათასი დოლარი 20 დღიანი [illegible] თამაშის ყოველი სეანსისთვის. შვეციაში, იუგოსლავიასა და ესპანეთში მოვძებნე [illegible] ქალაქი, სადაც ამ ფულის გადახდას შეძლებდნენ. მაგრამ ფიშერს ეს ჰონორარი საკმარისად არ ეჩვენა. მან ყოველ გამოსვლაში 50 ათასი დოლარი მოითხოვა, ამას გარდა, [illegible] წინაპირობები წამოაყენა. [illegible] წინასწარ უნდა გამაცნოთო.

კორჩნოი. ფიშერს არც უყვარს [illegible] და ამიტომ დოლარებს მოითხოვს.

ლარსენი. ფიშერისგან [illegible] მოსალოდნელია [illegible] არალოგიკური საქციელი. მის არსებაში არის რაღაც [illegible], გაუგებარი. ხანდახან იგი დიდ ბავშვს მოგვაგონებს. ცხოვრებისეულ სიტუაციებს მხოლოდ თავისი საზომით უდგება, [illegible] ვერ შეხედავს. გარეშეთათვის ფიშერის რეაქცია არაადეკვატურია, ზოგჯერ იმდენად მოულოდნელი და მძაფრი, რომ მასთან ურთიერთობას ართულებს. მაგრამ ფიშერს მიმზიდველი თვისებაც აქვს. [illegible], იგი [illegible] ერთგულია ჭადრაკისადმი.

მსოფლიო ჩემპიონს [illegible] განათლება არ მიუღია. 1959 წელს პრეტენდენტთა ტურნირში მისი სეკუნდანტი ვიყავი. მაშინ ბევრჯერ მითქვამს, ბობი, [illegible] უნდა დაამთავრო-მეთქი. [illegible] მომიგებდა ხოლმე პასუხად [illegible] დიდოსტატი, რომელსაც იმ დროისთვის კოლეჯი უკვე მიტოვებული ჰქონდა, — იქ რა მინდა, [illegible] ძალიან ბრიყვები არიან. მარტო ერთ მასწავლებელს არა უშავდა რა, ჭადრაკს [illegible] არ თამაშობდა...

ფიშერის ფინანსური მოთხოვნები ხშირად უსაზღვრო სიხარბის [illegible], მაგრამ ეს ასე არ არის. მისთვის ფული ჩვეულებრივ როლს არ თამაშობს. რეიკიავიკის მატჩის დროს და მის შემდეგაც ამერიკელმა დიდოსტატმა უამრავი ხელსაყრელი კონტრაქტი უარყო. მას [illegible] შეეძლო რამდენიმე მილიონი დოლარი მიეღო, მაგრამ [illegible].

ფიშერი [illegible] ერთი იდეით — ჭადრაკის პრესტიჟი აამაღლოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი პრესტიჟის საზომად ფულია.

ვ. ხ. არ არის საჭირო ფიშერის გაიდეალება. [illegible] ლასკერის, ალიოხინის და ბევრი სხვა გამოჩენილი მოჭადრაკის [illegible].

მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი რამ: ჩემი საჭადრაკო ცხოვრების მანძილზე არ შემხვედრია კაცი, რომელიც ჭადრაკს ამდენ დროს სწირავდეს. ფიშერი დღე და ღამე [illegible]. [illegible] ჭადრაკში [illegible] ჩემპიონებს — კაპაბლანკასა და ალიოხინს.

ლარსენი. ჩემი აზრით, ჭადრაკში ყველაზე დიდი ტალანტი კაპაბლანკას ჰქონდა. [illegible] თამაშობდა ალიოხინი [illegible], მაგრამ იგი ფიშერზე ნაკლებს როდი მუშაობდა ჭადრაკზე.

ვ. ხ. ბოლო წლებში ფიშერის [illegible] ხელოვნება [illegible]. ამერიკელი [illegible] „დიდოსტატის [illegible]" [illegible], ჰაინისა, მაგრამ [illegible]. ჩემი აზრით, [illegible].

ლარსენი. ჩემი აზრით, პარტიის დროს ერთი მოჭადრაკის რაიმე [illegible] გადაწყვეტილება [illegible]. მე ბევრჯერ შევხვედრივარ ფიშერს ჭადრაკის დაფასთან. [illegible] მატჩი კი [illegible], [illegible], მაგრამ, ჩემი აზრით, [illegible] ფიშერზე არ არის დამოკიდებული...

კორჩნოი. მეც [illegible] ფიშერის [illegible], მაგრამ [illegible] არ [illegible].

[illegible] პარტიების [illegible] ჭადრაკის [illegible]. [illegible], როცა საჭადრაკო ოსტატობის [illegible] მიიღოს ყველაზე [illegible]. მე ეს მხოლოდ ტალის პარტიების [illegible]. ახლა კი, საზონთაშორისო ტურნირში, [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible].

ლარსენი. ამ ბოლო ხანს [illegible] ლასკერი [illegible] და [illegible] მოჭადრაკეთა [illegible]. თამაშის [illegible] მოჭადრაკეებს [illegible] აქვთ. [illegible] დიდოსტატებთან წარმატებით ბრძოლა [illegible] მხოლოდ [illegible] მოჭადრაკეს თუ შეუძლია. და, თუმცა [illegible], სახელი და უცხოელ მოჭადრაკეთა საერთო კლასი [illegible]. იმავე როგორც 15 წლის წინ, [illegible] და [illegible] — მთელი დანარჩენი მსოფლიო ([illegible] უკვე არა ლასკერი). მე [illegible], [illegible] მოჭადრაკეები [illegible].

მაგრამ ტურნირებში ამ ბოლო ხანს [illegible], რომლებსაც [illegible].

[illegible] რეგლამენტი, [illegible] წელიწადს [illegible] ჩემპიონობის [illegible] საჭიროებით არ არის, მაგრამ ამ [illegible] არ [illegible].

სამაგიეროდ, [illegible] მოჭადრაკეებს [illegible] ახალი სტიმული — [illegible]. ამ სტიმულმა საჭადრაკო [illegible] უნდა გამოიწვიოს. ეს [illegible], როგორც [illegible] ნაცვლად [illegible] დიდოსტატთა თაობა ანატოლი კარპოვის მეთაურობით. ამ თაობის [illegible], [illegible], დიდ [illegible], რომლებიც [illegible] საერთაშორისო [illegible] თავის [illegible].

საერთო [illegible] ფიდე-ს პრეზიდენტს მივმართე.

[illegible]. მ. ეივე [illegible] ფიდე-ს პრეზიდენტის [illegible]. ამ ბოლო ხანს [illegible] ბ. ლარსენმა, რომელიც [illegible] ლენინგრადში [illegible].

— ხომ პრეზიდენტის [illegible], — [illegible] ლარსენმა, — ფიდე-ს [illegible] არც ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს.

[illegible] ფიდე-ს [illegible], [illegible] პრეზიდენტი უნდა [illegible].

— [illegible]?

— [illegible].

— რა [illegible], რა [illegible]. [illegible] წლის [illegible]...

— [illegible] პრეზიდენტი [illegible] წლისაა, მაგრამ [illegible] ცოცხალ [illegible].

— [illegible].

— მაინც?

— [illegible].

ვიქტორ ხენკინი,
სპორტის ოსტატი.
„ლიტერატურნაია გაზეტა".

1973 • ВСЕСОЮЗНЫЕ
СПОРТИВНЫЕ ИГРЫ МОЛОДЕЖИ

კარგი გაკვეთილი უნდა იყოს

საქართველოს ტყვიის მსროლელთა გუნდი ლვოვიდან მეტად მცირე ნადავლით (28 ქულა, XII ადგილი) დაბრუნდა. ჩვენი ახალგაზრდა მსროლელების შედეგი 130 ქულით მცირეა, ვიდრე საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულების — რსფსრ-ის ტყვიის მსროლელებისა. II პრიზიორი — უკრაინის კოლექტივმა ამ შეჯიბრებაში 122 ქულა დააგროვა, მოსკოვის ნაკრებმა — 109.

როგორც [illegible], [illegible] ბევრი არაფერი გვაქვს. მით უმეტეს, პროგრამის 6 ვარჯიშიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოთხში [illegible] დარჩნენ.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე 60 გასროლაში თბილისელმა სპორტის ოსტატმა რ. ჩიკვაიძემ (განათლების განყოფილება) 572 ქულა მოაგროვა, მაგრამ 28-ე ადგილზე უკეთეს ვერ შეძლო და ნაკრებს ვერაფერი არგო. ცხადია, მეორე თბილისელ ვ. ხელეცკის (არმიის სპორტკლუბი), რომელმაც 567 ქულა მოაგროვა და 34-ე ადგილი დაიკავა, აღარაფერი პრეტენზია არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ ვარჯიშში გამარჯვებულმა სპორტის ოსტატმა ა. ნალბანდიანმა (აზერბაიჯანი) 592 ქულის დაგროვება შეძლო.

მეტად დიდია განსხვავება მცირეკალიბრიანი შაშხანით „[illegible]" სროლაში გამარჯვებული სპორტის ოსტატის ა. ზუბანოვისა (რსფსრ) და თბილისელი სპორტის ოსტატის ჯ. სამოილენკოს (არმიის სპორტკლუბი) შედეგებს შორის. პირველმა [illegible] ჯამი ზუბანოვს ჰქონდა — 557, სამოილენკო კი 37 ქულით ჩამორჩა და 38-ე ადგილზე გავიდა.

სამოილენკოს ამ მხრივ თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. ხარიბიანმა („[illegible]") აჯობა — ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3X40) ჯამში მან მეტი მოაგროვა. [illegible] 1071 ქულამ სპორტსმენს მხოლოდ 31-ე ადგილი მოუტანა (თამაშებში გუნდებს ჩათვლის აძლევდნენ ის სპორტსმენები, რომლებიც ადგილს 16 საუკეთესოში დაიმკვიდრებდნენ). ხარიბიანმა ჩემპიონთან, მოსკოველ სპორტის ოსტატ ა. მიტროფანოვთან წააგო... 62 ქულა (!!).

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე [illegible] სროლაში თბილისელმა ა. მურადოვმა (არმიის სპორტკლუბი), და ქუთაისელმა თ. კანტარიამ („დინამო"). მართალია, თანაგუნდელები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ — თითოეულმა 532 ქულა მოაგროვა, მაგრამ 29-ე და 30-ე ადგილები ვერაფერი წარმატებაა.

ლიდერთა შორის ბრძოლა კი მართლაც დაძაბული იყო. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, მოსკოველი ს. სტოლიაროვი და ზაპოროჟელი ა. ბიკი, აგრეთვე გროდნოელი სპორტის ოსტატი ვ. შილოვი დიდხანს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს მაინც სტოლიაროვმა გაიმარჯვა — 559. მას შილოვი ქულით ჩამორჩა, ბიკი — 2 ქულით.

ჩვენები შედარებით უკეთესად გამოდიოდნენ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლით 60 გასროლაში და სტანდარტზე (3X40) სროლაში. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. ოჩინაიშვილმა წოლით სროლით 600-დან 591 ქულა აჰგროვა, ჩემპიონთან, ხაბაროვსკელ სპორტის ოსტატთან ა. კლიმოვთან 6 ქულა წააგო, VII ადგილი დაიკავა და გუნდს 12 ქულა შესძინა. ამავე ვარჯიშში ქუთაისელი სპორტის ოსტატი თ. ხვანიძე [illegible] — 581 ქულით 28-ე ადგილს დასჯერდა.

ოჩინაიშვილმა გუნდს 4 ქულა მისცა სტანდარტზე სროლაში, როცა პირად შეჯიბრებაში 1118 ქულა მოაგროვა და XVI ადგილზე გავიდა. მას აჯობა თბილისელმა თ. კაცურიძემ („სპარტაკი") — 1129. ეს შედეგი საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იმისთვის, რომ კაცურიძეს VII ადგილი დაეკავებინა და გუნდისთვის 12 ქულა შეეძინა. ამ ვარჯიშში ჩემპიონობა წლევანდელ ხელთ იგდო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ს. რაინიკოვმა — 1138.

როგორც საკავშირო სპორტულმა თამაშებმა დაგვანახვა, ტყვიის სროლაში [illegible] საქმე სახარბიელოდ როდი გვაქვს, ლვოვში საქართველოს გუნდის წევრებიდან სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა, სპორტის ოსტატობის კანდიდატობას მხოლოდ კაცურიძე და ოჩინაიშვილი შეესწრნენ. ხარიბიანმა და სამოილენკომ I თანრიგის ნორმატივებიც კი ვერ შეასრულეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში XII ადგილი საქართველოში [illegible] მწვრთნელებისთვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, რომელიც 1975 წელს გაიმართება, მსგავსი უხეირო შედეგები აღარ გამეორდეს.

რ. მაღრაძე.

ნორჩი მთასვლელი.

ა. გურასაშვილის ფოტო.

რაიონებში [illegible]

◆ წულუკიძე

მოსწავლეთა სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა სკოლა-ინტერნატის ნაკრებმა. 8-წლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სოფელ კონტუათის მოსწავლეებმა.

თ. ზვიადიძე,
ბავშვთა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

დღეს ლუჟნიკში

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის. მოსკოვში ჩამოვიდა 16 შვედი ფეხბურთელი მწვრთნელ გ. ერიქსონის ხელმძღვანელობით. მათ შორის არიან: მეკარეები — ჰელსტრემი და ჰაგბერგი; მცველები — ჰულტი, კარლსონი, ტაპერი, გრიპი, ულსონი, მოლბერგი და ანდერსონი; ნახევარმცველები — [illegible], ლარსონი, ტორსტენსონი, მაგნუსონი; თავდამსხმელები — ანდერსონი, მათსონი და შესტრემი.

ჩვენი სტუმრებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არიან ცნობილი ფეხბურთელები — ლარსონი, ჰულტი, მაგნუსონი, გრიპი და სხვ.

შარშან ივლისიდან მოყოლებული შვეციის ნაკრებმა წაუგებლად ჩაატარა 10 საერთაშორისო მატჩი და ამას წინათ დაამარცხა თვით მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრებიც — 1:0. შვეციის ფეხბურთელებს თითქმის უზრუნველყოფილი აქვთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. საამისოდ მათ მეტოქის მინდორზე უნდა დაამარცხონ მალტის ნაკრები, ხუთ ცოტა, 2 მეტით განსხვავებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ წრის მატჩში შვედებმა მალტის ნაკრები დაამარცხეს [illegible] ანგარიშით 7:0, ეს ამოცანა ძნელი არ უნდა იყოს.

სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებმა გუნდებმა [illegible] საერთაშორისო მატჩი ერთმანეთს შორის დაამთავრეს ფრედ — 4:4.

იუნიორთა ევროპული ტურნირი

ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა მოაწყო კონტინენტის იუნიორ ფეხბურთელთა მორიგი ტურნირის კენჭისყრა, რომლის ფინალური სტადია გაისად უნდა ჩატარდეს შვეციაში.

შესარჩევი თამაშების ცეცხლის გარეშე ფინალში თამაშის უფლება მიიღეს შვეციის, ლუქსემბურგის, ინგლისისა და თურქეთის გუნდებმა. დანარჩენები განაწილდნენ 12 საკვალიფიკაციო ჯგუფში, რომელთა გამარჯვებულები აგრეთვე გავლენ ფინალში. აი, კენჭისყრის შედეგები:

I ჯგუფი. ბულგარეთი, ავსტრია; II ჯგუფი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუმინეთი; III ჯგუფი. მალტა, საბერძნეთი; IV ჯგუფი. ბელგია, შოტლანდია; V ჯგუფი. ჩრ. ირლანდია, ისლანდია; VI ჯგუფი. დანია, ნორვეგია; VII ჯგუფი. შვეიცარია, პორტუგალია; VIII ჯგუფი. უნგრეთი, იუგოსლავია; IX ჯგუფი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი; X ჯგუფი. ესპანეთი, იტალია; XI ჯგუფი. [illegible], ჰოლანდია.

XII ჯგუფში სსრ კავშირის იუნიორებთან ერთად მოხვდნენ ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ფინალური ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

„ა" ჯგუფი: II, IV, V ჯგუფების გამარჯვებულნი და ინგლისი.

„ბ" ჯგუფი: VIII, IX, XII ჯგუფების გამარჯვებულნი და თურქეთი.

„გ" ჯგუფი: I, VI, XI ჯგუფებში გამარჯვებულნი და ლუქსემბურგი.

„დ" ჯგუფი: III, VII, X ჯგუფების გამარჯვებულნი და შვეცია.

მწვრთნელთა და ფეხბურთელთა საყურადღებოდ!

20-25 აგვისტოს რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებში მოეწყობა საკონტროლო ნორმატივების ჩაბარება.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭო მწვრთნელებს აცნობებს [illegible] „ლელოში" გამოქვეყნებულ ნორმატივებს, [illegible] წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ამ [illegible] ორგანიზაციისა და ნორმატივების წარმატებით ჩაბარებისთვის.

საკონტროლო ნორმატივები

I

კომპლექსური ნორმატივი სიჩქარისა და სისწრაფის გამძლეობაში:

ა) 100 მეტრზე რბენა: ფრიადი — 12,2, კარგი — 12,4, დამაკმაყოფილებელი — 12,6.

ბ) 3,5-4 წუთის შემდეგ რბენა 1500 მეტრზე: ფრიადი — 5,00, კარგი — 5,08, დამაკმაყოფილებელი — 5,16.

გ) 3,5-4 წუთის შემდეგ განმეორებით 100 მეტრზე: ფრიადი — 12,5, კარგი — 12,8, დამაკმაყოფილებელი — 13,0.

დ) კომპლექსური ბალი ამტანობის ნორმატივისთვის (რბენა ტარდება: 100 მეტრზე — ბუცებით, საფეხბურთო მინდორზე; 1500 მეტრზე — [illegible] ბილიკზე. რბენაში ერთდროულად მონაწილეობს არანაკლებ 3 კაცისა. რბენის დაწყება — მესტარტის ნიშნით, დამთავრება — ფინიშის ხაზის მკერდით გადაკვეთის მომენტში): ფრიადი — 13, კარგი — 11, დამაკმაყოფილებელი — 9.

II

კომპლექსური ნორმატივი ძალისმიერ მოთხოვნებში:

ა) მიზიდვა (სრულდება კიდიდან, ტაცი — ნებისმიერი, მიზიდვის დროს ნიკაპი ძელს უნდა ასცდეს. ტანი და ფეხები — გამართულია): ფრიადი — 10, კარგი — 8, დამაკმაყოფილებელი — 6.

ბ) ბურთის დარტყმა სიშორეზე (3-3 ცდა ორივე ფეხით). შემაჯამებელი შედეგი მარცხენა და მარჯვენა ფეხით საუკეთესო ცდების მიხედვით: ფრიადი — 90, კარგი — 85, დამაკმაყოფილებელი — 80.

გ) კომპლექსური ბალი ძალის ნორმატივისთვის: ფრიადი — 9, კარგი — 7, დამაკმაყოფილებელი — 6.

III

კომპლექსური ნორმატივი სპეციალურ მოძრაობებში:

ა) რბენა ბურთით 5X30 მ: ფრიადი — 22,5, კარგი — 24,0, დამაკმაყოფილებელი — 25,5.

ბ) [illegible] 30-მეტრიან მონაკვეთზე (მონაწილეობს არანაკლებ 3 კაცისა). რბენის დაწყება — მესტარტის ნიშნით, დამთავრება — ბურთის ფინიშის ხაზზე [illegible] მომენტში. მონაკვეთზე საჭიროა ბურთზე [illegible] 3 შეხება. (ინტერვალი [illegible] შორის 25 წამს არ უნდა აღემატებოდეს): ფრიადი — 4,3, კარგი — 4,5, დამაკმაყოფილებელი — 4,7.

გ) ბურთის ჰაერში ტარება 30 მეტრზე (კარისკენ ზურგით მდგარმა ფეხბურთელმა უნდა მიიღოს ბურთი, არ დაუშვას ძირს, [illegible] დისტანცია და საჯარიმო მოედნის ხაზიდან კარში დარტყას. თავით ნებადართულია არა უმეტეს სამჯერ შეხებისა. თუ ბურთი მიწაზე დავარდა, ცდა არ ჩაითვლება, ეძლევა 3 ცდა. დრო აღინიშნება ბურთზე პირველი შეხებიდან დასრულებით დარტყმის მომენტამდე): ფრიადი — 8,0, კარგი — 9,0, დამაკმაყოფილებელი — 10,0.

დ) დაკიდებული ბურთის [illegible]: ფრიადი — 70, კარგი — 65, დამაკმაყოფილებელი — 60.

ე) კომპლექსური ბალი სპეციალური მოძრაობისთვის: ფრიადი — 17, კარგი — 14, დამაკმაყოფილებელი — 12.

მოთხოვნების საერთო შეფასება:

ფრიადი (5) — 39 ბალი და მეტი;
კარგი (4) — 32-38 ბალი;
დამაკმაყოფილებელი (3) — არანაკლებ 27 ბალისა.



იყო დრო, პროფესიული და მოყვარული მოკრივის ოსტატობა სხვადასხვაგვარად ფასობდა. საყოველთაო აღიარებით, პროფესიონალი მოყვარულზე ბევრად მაღლა იდგა. ამ რწმენას საფუძველი შეურყია ლეგენდარულმა უნგრელმა მოკრივემ ლასლო პაპმა, რომელმაც, მოილია რა სამოყვარულო სპორტის ყველა უმაღლესი ტიტული (ევროპისა და ოლიმპიადის მრავალგზის ჩემპიონობა), პროფესიონალებში სცადა ბედი და იქაც დაამტკიცა თავისი ძალა.

ლასლო პაპი მსოფლიო კრივის ისტორიაში უნიკალური მოვლენაა და ამიტომაც, პროფესიულ სარბიელზეც ისევე შეუდარებელი იყო, როგორც სამოყვარულო სპორტში. მერე კი დადგა სპორტთან განშორების დრო და პაპმა ახალგაზრდა თაობის აღზრდას მოჰკიდა ხელი.

ბედით განებივრებული მოკრივე აქაც მოწინავეთა შორის აღმოჩნდა. მისმა რამდენიმე მოწაფემ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. აი, ერთი მათგანი — ი. კეიდი, რომელსაც მორიგი ბრძოლის წინ რჩევა-დარიგებას აძლევს ლასლო პაპი.

ობიექტივში მსოფლიო

- უნიკალური მოვლენა და... ბედნიერი მწვრთნელი
- ულოცავენ ძმები ჩარლტონები
- 34, 14 და იმედიანი მონრეალი

წლის საუკეთესო მოკრივე, მოცურავე, რეგბისტი... ინგლისში ისინი დიდად პოპულარული არიან გულშემატკივართა, სპორტსმენთა, ჟურნალისტთა შორის, მაგრამ პოპულარობაცაა და პოპულარობაც. ბრიტანეთის კუნძულებზე ფეხბურთს კონკურენციას სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ უწევს და, რა გასაკვირია, რომ ამ კონკურსში გამარჯვებული განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდეს.

ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული სხვადასხვა დროს მიღებული აქვთ ტყავის ბურთის საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებს. მაგრამ ზოგჯერ პრიზს ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელიც ეუფლება. აი, ამჯერადაც პრიზი ერგო ირლანდიელ მეკარეს პატ ჯენინგს („ტოტენჰემ ჰოტსპური"), რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სურათზე: ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთელი პ. ჯენინგსი (შუაში) სპეციალური პრიზით ხელში. ახალგაზრდა სპორტსმენს გამარჯვება მიულოცეს სახელგანთქმულმა ვეტერანებმა რობერტ (მარცხნივ) და ჯეკ ჩარლტონებმა.

ნურაფერს ვაპატიებთ წესრიგის დამრღვევთ!

საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საფეხბურთო მინდვრებზე მიმდინარეობს რესპუბლიკურ გათამაშებათა მატჩები. გუნდები, ფეხბურთელები იბრძვიან მაღალი მაჩვენებლებისთვის, მატჩები სულ უფრო დაძაბული და საინტერესო ხდება.

ამასთან, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად მიღებული ზომებისა, ჯერ კიდევ ვხვდებით წესრიგის დარღვევის, აშკარა ხულიგნობის შემთხვევებს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას უხდება საგანგებო ზომების მიღება, მთელი სიმკაცრით ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც ასე უდიერად ლახავს საბჭოთა სპორტსმენის მაღალ სახელს, მის მორალურ სახეს.

მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ასეთი შემთხვევა: ბოლნისში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „მევენახე" და გარდაბნის „რუბეროიდი". მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბოლნისელმა მ. ჯაფარიძემ და გარდაბნელმა გ. კალანდიამ მუშტი-კრივი გამართეს მინდორზე, მათ „წაეხმარნენ" თანაგუნდელები, შემდეგ — მაყურებელთა ნაწილიც, და მსაჯი იძულებული იყო თამაში შეეწყვიტა 8 წუთით ადრე! დაუმატეთ ამას, რომ ბოლნისელებმა შემდეგ შესაძლებლად მიიჩნიეს არ გამოცხადებულიყვნენ კალენდარულ შეხვედრაზე გურჯაანში.

ცხადია, ასეთ დარღვევათა პატიება არ შეიძლება. სპორტტექნიკურმა კომისიამ ბოლნისის გუნდი მოხსნა გათამაშებიდან, ხოლო მ. ჯაფარიძეს და გ. კალანდიას წლის ბოლომდე აეკრძალათ მატჩებში მონაწილეობა. სასჯელი სავსებით დამსახურებულია, მაგრამ საკითხავია, რატომ დროულად არ მიმართეს საჭირო ზომებს ზემოაღნიშნული რაიონების ხელმძღვანელმა ფიზკულტურულმა ორგანოებმა, რათა ეს ინციდენტი არ მომხდარიყო?

წალენჯიხის „სქურისა" და ჩხოროწყუს „კოლმეურნის" შეხვედრაში უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს ჩხოროწყუელი ა. ჩიტაია, მაგრამ იგი არ დაემორჩილა მსაჯის გადაწყვეტილებას და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა თამაში შეეწყვიტა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩხოროწყუს „კოლმეურნეში" სათანადო სიმაღლეზე არ დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. სპორტტექნიკურმა კომისიამ 5 კალენდარული მატჩით აუკრძალა თამაში ა. ჩიტაიას.

მსაჯის მიმართ უდიერი საქციელისთვის დასჯილი არიან ყვარლის „დურუჯის" ფეხბურთელები ნ. და დ. ავაზაშვილები, სოხუმის „დიოსკურიის" წევრი კ. ხოფუსოვი, ასპინძის „ვარძიის" მოთამაშე ჯ. ლეკიშვილი, აგრეთვე, წალენჯიხელი ვ. ბირკაია, ახალციხელი ზ. ზუბაშვილი, გურჯაანელი გ. დანელიშვილი, თბილისელები რ. თაბაგარი და ბ. დუდაროვი. მათ სხვადასხვა ვადით აეკრძალათ კალენდარულ თამაშებში მონაწილეობა. ასეთივე სასჯელი დაედოთ ცხაკაიელ ლ. დარასელიას, ხობელ ფ. მანაგაძეს, გურჯაანელ გ. ყალაბეგაშვილს, გეგეჭკორელ ჯ. კიზირიას, ვანელ გ. ნიკოლაიშვილს, ოჩამჩირელ ვ. დადახავას და სხვებს.

ტიბაანში მიმდინარეობდა მატჩი ადგილობრივ გუნდსა და ვაზისუბნის „მევენახეს" შორის. ერთ-ერთ მომენტში ვაზისუბნელთა კარში პენალტი დაინიშნა. ეს არ მოეწონათ მ. ქევხიშვილს, ა. მალასიძეს, ა. დათუნაშვილს, რომლებმაც მსაჯს თამაშის გაგრძელების საშუალება არ მისცეს. და როცა მან სამივე წესრიგის დამრღვევს მინდვრის დატოვება მოსთხოვა, ხულიგნებმა არ ისურვეს ამ განკარგულების შესრულება. ეს კიდევ არაფერი: მალასიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

გუნდის ხელმძღვანელობა მკაცრადაა გაფრთხილებული, ა. მალასიძეს საერთოდ აეკრძალა ფეხბურთელთა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა. დაისაჯნენ მ. ქევხიშვილი და ა. დათუნაშვილიც.

ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას თავის სხდომებზე სისტემატურად უხდება დისციპლინის დამრღვევთა მიმართ მკაცრი სანქციების მიღება. დაუსჯელი არავინ დარჩება, მაგრამ მარტო ამ ღონისძიებებით სრულ წესრიგს ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე ვერ დავამყარებთ. გუნდების ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა უნდა გააძლიერონ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ფეხბურთელთა შორის, აღმოფხვრან საბჭოთა სპორტსმენისთვის უცხო ჩვევები. ადგილობრივმა ფიზკულტურის კომიტეტებმა და სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებმა სათანადო კონტროლი უნდა დააწესონ მათ მიმართ, ვინც შემჩნეულია წესრიგის დარღვევაში.

დ. ცომაია,

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რომის ოლიმპიადის ერთ-ერთი აღმოჩენა იყო შესანიშნავი ზანგი მძლეოსანი ვილმა რუდოლფი. ნიჭიერმა ამერიკელმა სპრინტერმა რომის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკებზე იმდენი ოქროს მედალი დახვეტა, რამდენიც მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ერთ მძლეოსანზე.

რუდოლფის სახელი ერთხანს კიდევ ქუხდა მსოფლიოს სტადიონებზე, მერე კი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ვილმა ჩამოსცილდა სპორტს, ოღონდ ნაწილობრივ — ხელი მოჰკიდა თავისი პატარა გოგონას, იოლანდას დაოსტატებას. და აი, ახლა 34 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ღრმადაა დარწმუნებული, რომ პატარა რუდოლფი, რომელსაც წლეულს 14 წელი შეუსრულდა, თავს გამოიჩენს მონრეალში. შვილსაც იგივე გატაცება აქვს, რაც დედას — სპრინტი, და თავისი ასაკისთვის საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გოლი ცეკვით აღინიშნა!

სანტ-იაგოში ჩილის ნაკრები ჰაიტის გუნდს ეთამაშებოდა. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო—10:0. ჰაიტელი გულშემატკივრები, რომლებიც გუნდს მრავლად ახლდნენ, წუხილმა მოიცვა. მაგრამ აი, ჩილელთა მცველმა უხეში ილეთი იხმარა სტუმართა თავდამსხმელის წინააღმდეგ და 11-მეტრიანი დარტყმა დაინიშნა. ჰაიტელებმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანეს, რამაც მათი გულშემატკივრების ნამდვილი ექსტაზი გამოიწვია. ყველამ უკლებლივ... იცეკვა ტრიბუნებზე.

ბენქსი ბენქსად რჩება

ინგლისელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ სახელოვანი მეკარე ბენქსი მალე დაუბრუნდება ეროვნულ ნაკრებს. „იგი ისევე ბრწყინვალედ თამაშობს, როგორც ადრე" — წერენ ისინი. ამას წინათ „სტოკ სიტი" ხანგრძლივ გასტროლებზე იმყოფებოდა ავსტრალიაში. ბენქსმა თავისი შესანიშნავი ოსტატობით კვლავ მოხიბლა მაყურებლები.

1973

მიმართვა არბიტრებისადმი

ბოლო ხანებში ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებებში საგრძნობლად იმატა უხეში თამაშის შემთხვევებმა. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ და მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ წერილით მიმართეს ყველა მსაჯს, ვინც საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებს ემსახურება.

„ფეხბურთის სამმართველო და მსაჯთა საკავშირო კოლეგია აღნიშნავენ, — ნათქვამია წერილში, — რომ ზოგიერთი მსაჯი ლიბერალურად ეკიდება უხეშად მოთამაშე ფეხბურთელებს, ფორმალურად აღნიშნავს ბურთისთვის ბრძოლაში დაშვებულ შეცდომებს. არბიტრები არ ამოწმებენ, აქვთ თუ არა ფეხბურთელებს წვივსაფრები, რითაც არღვევენ შეჯიბრებათა დებულების V განაყოფის მე-3 პუნქტს. უკლებლივ ყველა არბიტრს ევალება გადამჭრელი, პრინციპული ბრძოლა გააჩაღოს უხეშობასთან, რაც ფეხბურთელებს დაშავებისგან დაიცავს და კეთილნაყოფიერ პირობებს შეუქმნის როგორც ნაკრების შემადგენლობაში, ისე საკლუბო გუნდების ევროპულ ტურნირებში თამაშისთვის.

ფეხბურთის სამმართველო და მსაჯთა საკავშირო კოლეგია მსაჯებს ავალებენ მატჩის დაწყებამდე გაესაუბრონ გუნდების ფეხბურთელებს იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნეს მოსალოდნელი უხეში თამაში, არბიტრებს საგანგებოდ ევალებათ გაუსინჯონ წვივსაფრები ფეხბურთელებს, მათ შორის სათადარიგო მოთამაშეებსაც.

ფეხბურთის სამმართველო და მსაჯთა საკავშირო კოლეგია დისციპლინარული ხასიათის უმკაცრეს ზომებს მიიღებენ, საკავშირო შეჯიბრებათა მსაჯობიდან მოხსნამდეც კი, იმ არბიტრთა მიმართ, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ შეასრულებენ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება—99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო—93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.